

# საქართველოს მთავრობის

დადგენილება №64

2012 წლის 21 თებერვალი

ქ. თბილისი

## სახაზინო (საბიუჯეტო) დაწესებულებებში საქმისწარმოების ავტომატიზებული სისტემის მინიმალური სტანდარტის დამტკიცების შესახებ

**მუხლი 1.** „სახაზინო (საბიუჯეტო) დაწესებულებებში ელექტრონული მმართველობის დანერგვის შესახებ“ საქართველოს პრეზიდენტის 2011 წლის 7 ნოემბრის №698 ბრძანებულების შესაბამისად, საქართველოს სახაზინო (საბიუჯეტო) დაწესებულებებში საქმისწარმოების ავტომატიზებული სისტემის სტანდარტის დანერგვის მიზნით:

1. დამტკიცდეს სახაზინო (საბიუჯეტო) დაწესებულებებში საქმისწარმოების ავტომატიზებული სისტემის თანდართული სტანდარტი.

2. სახაზინო (საბიუჯეტო) დაწესებულებებმა:

ა) რომლებიც უკვე ჩართულნი არიან საქმისწარმოების ავტომატიზებულ სისტემაში, მოიყვანონ თავიანთი პროგრამა თანდართულ სტანდარტთან შესაბამისობაში არა უგვიანეს 2012 წლის 1 აპრილისა;

ბ) რომლებიც არ გამოიყენებენ საქმისწარმოების ავტომატიზებულ სისტემას, დანერგონ ამ სტანდარტის შესაბამისი ელექტრონული პროგრამა არა უგვიანეს 2012 წლის 1 ივნისისა.

3. ადგილობრივი თვითმმართველობის ორგანოებმა საქმისწარმოების ავტომატიზებული სისტემის დანერგვა განახორციელონ არა უგვიანეს 2013 წლის 1 ივნისისა, ხოლო ქალაქ თბილისის თვითმმართველმა ერთეულმა ამ სტანდარტის შესაბამისი ელექტრონული პროგრამა დანერგოს არა უგვიანეს 2012 წლის 1 ივნისისა.

**მუხლი 2.** 2012 წლის 1 აპრილიდან საქმისწარმოების ავტომატიზებული სისტემის სტანდარტის შესაბამისი პროგრამის მიღება შესაძლებელია მხოლოდ საქართველოს იუსტიციის სამინისტროს სსიპ – საჯარო რეესტრის სააგენტოს, საქართველოს ფინანსთა სამინისტროს სსიპ – საფინანსო ანალიტიკური სამსახურის, საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს და საქართველოს განათლებისა და მეცნიერების სამინისტროს სსიპ – განათლების მართვის საინფორმაციო სისტემისაგან.

*საქართველოს მთავრობის 2012 წლის 22 აგვისტო დადგენილება №339 - ვებგვერდი, 22.08.2012წ.*

**მუხლი 3.** სახაზინო (საბიუჯეტო) დაწესებულებებმა, არა უგვიანეს 2012 წლის 1 მარტისა, საჯარო სამართლის იურიდიულ პირს – საჯარო სამსახურის ბიუროს წარუდგინონ საქმისწარმოების ავტომატიზებული სისტემის ჩართვის გრაფიკი.

**მუხლი 4.** საქართველოს იუსტიციის სამინისტროს სსიპ – მონაცემთა გაცვლის სააგენტომ 2012 წლის 1 მაისამდე განახორციელოს საქმისწარმოების ავტომატიზებული სისტემის სტანდარტის შესაბამისი პროგრამების ურთიერთდაკავშირება და მონაცემთა გაცვლის უზრუნველყოფა.

**მუხლი 5.** ამ დადგენილების მოქმედება 2014 წლის 1 იანვრამდე ვრცელდება მხოლოდ №3 დანართით განსაზღვრულ სახაზინო (საბიუჯეტო) დაწესებულებებზე, ხოლო 2014 წლის 1 იანვრიდან – ყველა სახაზინო (საბიუჯეტო) დაწესებულებაზე.

**მუხლი 6.** ამ დადგენილების შესრულების კოორდინაცია და მონიტორინგი განახორციელოს საჯარო სამართლის იურიდიულმა პირმა – საჯარო სამსახურის ბიურომ.

**მუხლი 7.** დადგენილება ამოქმედდეს გამოქვეყნებისთანავე.

პრემიერ-მინისტრი

ნ. გილაური

**შეტანილი ცვლილებები:**

1. საქართველოს მთავრობის 2012 წლის 22 აგვისტო დადგენილება №339 - ვებგვერდი, 22.08.2012წ.